

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ამერიკისმცოდნეობა

შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა საქართველოს მიმართ

დარეჯან ხუციშვილი

სადოქტორო დისერტაციის

ავტორეფერატი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად

(ამერიკისმცოდნეობის სპეციალობით)

თბილისი 2010

ხელმძღვანელი: პროფ. დოქტ. ზურაბ დავითაშვილი

ექსპერტი: ასოც. პროფ. დოქტ. ირინა ბახტაძე

ოპონენტები:

პროფ. დოქტ. შოთა დოღონაძე

ასოც. პროფ. დოქტ. ელენე მეძმარიაშვილი

დისერტაციის მოკლე შინაარსი

თემის აქტუალობა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ამერიკის საგარეო პოლიტიკა მკვეთრ ცვლილებას საჭიროებდა. მიუხედავად აშკარა ნიშნებისა, რომ უკანასკნელი იმპერია იშლებოდა, დასავლელი პოლიტიკოსები ამ თითქოსდა დაუჯერებელ მოვლენას მაინც მოუმზადებლები შეხვდნენ. ამან გაუთვალისწინებელი შეცდომები გამოიწვია და დაიკარგა უადრესად ხელსაყრელი მომენტი იმ უსამართლობის გამოსასწორებლად, რომელიც ევროპის, და არა მხოლოდ ევროპის, ქვეყნებს დაატყდა თავს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. კაცობრიობას სულ რამდენიმე წელი დასჭირდა ფაშიზმის დასამარცხებლად მაშინ, როცა კომუნისტური უღლის გადასაგდებად რამდენიმე ათწლეული და მძიმე შრომა აღმოჩნდა საჭირო. თუ ახალი ეპოქის პირველი ათწლეული ხელის გადაგრეხვის პოლიტიკით ხასიათდებოდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის, მეორე ათწლეული წარმოადგენს რთულ პერიოდს რუსეთის ე.წ. სამხრეთ სარტყლისა (კავკასია და ცენტრალური აზია) და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის. მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოები ცდილობენ კონტროლის დამყარებას სტრატეგიულად მნიშვნელოვან და რესურსებით მდიდარ რეგიონზე. გარდა ამისა, მიმდინარეობს ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ. ყოფილი საბჭოთა კავშირის სამხრეთით მდებარე რესპუბლიკებმა განსაკუთრებული როლი შეიძინა ამ გეგმების განხორციელების საქმეში.

უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე საქართველომ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ამერიკის საგარეო პოლიტიკაში. ვინაიდან საქართველო წარმოადგენს გზაჯვარედინს, რომელიც მსოფლიოს ორ უმნიშვნელოვანეს რეგიონს – ევროპასა და აზიას ერთმანეთთან აკავშირებს, ასევე, ის წარმოადგენს ენერგეტიკულ და სტრატეგიულ დერეფანს, რომელიც ქმნის ალტერნატიულ გზას ამ რეგიონის ბუნებრივი რესურსების ევროპის კონტინენტზე მოსახვედრად. მაგრამ საქართველო ამ რეგიონს არა მარტო დასავლეთ ევროპასთან, არამედ ზღვის საშუალებით დანარჩენ მსოფლიოსთანაც აკავშირებს. ეს გარემოება განაპირობებს როგორც აშშ-ის, ასევე რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესის ზრდას საქართველოს მიმართ.

გეოპოლიტიკური ინტერესების გარდა, აშშ დაინტერესებულია განამტკიცოს დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში და დაეხმაროს მას დასავლური სამყაროს წევრი გახდეს.

დასავლელმა პოლიტიკოსებმა, რომლებიც აღტაცებული იყვნენ ერთიანი ევროპის იდეით, ვერ გათვალეს, რა შეიძლებოდა მომხდარიყო XXI საუკუნეში; ვერ წარმოიდგინეს, რომ მთელი ახლო აღმოსავლეთი (რომელშიც კავკასია და ცენტრალური აზიაც შედის) შეიძლებოდა გამხდარიყო ახალი ეპოქის ბალკანეთი, უფრო რთული და სახიფათო პრობლემებით, ვიდრე ევროპის ბალკანეთი, სადაც XX საუკუნეში ორი გამანადგურებელი ომი მოხდა. სამწუხაროდ, ცივი ომის შემდგომი პირველი ათწლეული მოხმარდა დასუსტებული რუსეთის დაყვავების პოლიტიკას, რაც წააგავდა ნაცისტური გერმანიის მიმართ გატარებულ პოლიტიკას, რასაც მილიონობით ადამიანისათვის სავალალო შედეგი მოჰყვა.

ამასობაში რუსეთი ნაეთობისა და ბუნებრივი გაზის გაყიდვით მოპოვებული შემოსავლის წყალობით სახიფათო იერით დაბრუნდა პოლიტიკურ ასპარეზზე. დაკარგული ავტორიტეტის დასაბრუნებლად და ევრაზიის კონტინენტზე გავლენის აღსადგენად, რუსეთი მთელი მსოფლიოსთვის თავისი ძალის ჩვენებას შეეცადა. ამის საუკეთესო მაგალითია რუსეთ-საქართველოს ომი. დაყვავების პოლიტიკამ აქაც არ გაამართლა. ბირთვული თავდასხმის საშიშროების გაქრობის შემდეგ, დასავლეთი გულუბრყვილოდ მიენდო მოვლენათა განვითარებას, რადგან ეგონა, რომ XIX და XX საუკუნეების პოლიტიკა სამუდამოდ დარჩებოდა წარსულში. არასწორი დასკვნა იყო ის, რომ რუსეთის მისწრაფება - დაემტკიცებინა თავისი მნიშვნელობა მსოფლიო პოლიტიკაში, არ იქნებოდა იმაზე ძლიერი, ვიდრე ამას თვითონ დასავლეთი ვარაუდობდა. რუსეთ-საქართველოს ომმა გამოაფხიზლა დასავლეთი და ახალი რეალობის წინაშე დააყენა იგი. საგარეო პოლიტიკის არც ლიბერალური და არც რეალისტური სკოლის მიმდევრები არ იყვნენ მზად ამ ახალი რეალობისთვის. ისევე როგორც 11 სექტემბრის ტერორისტულმა თავდასხმამ შეძრა დასავლელი პოლიტიკოსები და მათ გააცნობიერეს და შეაფასეს ახლო აღმოსავლეთიდან მომავალი საფრთხე, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგაც, მათ მსოფლიო პოლიტიკის ხელახალი გადაფასება მოუხდათ.

კვლევის საგანი. სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანია ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა საქართველოს მიმართ. შესწავლილია საქართველოს, როგორც ამერიკის სტრატეგიული პარტნიორის, როლი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. სადისერტაციო ნაშრომში დეტალულად არის გაანალიზებული ამერიკის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და მიმართულებები. მრავალრიცხოვან მკვლევართა ნაშრომების გაანალიზებისა და მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესწავლის შედეგად, განსაზღვრულია საქართველოს ადგილი ამერიკის საგარეო პოლიტიკაში.

საბჭოთა კავშირის დაშლამ მსოფლიო პოლიტიკაში დიდი ცვლილებები გამოიწვია. რუსეთის მოსაზღვრე სახელმწიფოები ახალ რეალობაში აღმოჩნდნენ. მათი ბედიც ხანგრძლივი დროის მანძილზე რუსეთის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი, მისი მემკვიდრე რუსეთი აგრძელებს თავისი გავლენის აღდგენას ამ რეგიონებში, რაც ზოგ შემთხვევაში დაუჯერებელ მასშტაბებს აღწევს. იმისათვის, რომ დაუპირისპირდნენ რუსეთის სურვილს დაეპატრონოს მათ ტერიტორიებს, ეს ქვეყნები ხშირ შემთხვევაში დასახმარებლად მიმართავენ ერთადერთ ზესახელმწიფოს – ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ახალმა რეალობამ საქართველოს მნიშვნელოვანი როლი მიაკუთვნა ამერიკის საგარეო პოლიტიკაში. ახლო აღმოსავლეთთან მეზობლობამ და საქართველოზე გამავალმა მთავარმა ენერგოდერეფნის მარშრუტმა მას დიდი მნიშვნელობა შესძინა, რის გამოც ის მრავალი ქვეყნის ინტერესთა შეჯახების ადგილად იქცა.

დისერტაციის მიზანი და ამოცანები. დისერტაციის მიზანია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს მიმართ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის შესწავლა და გაანალიზება. გარდა ამისა, ნაშრომში შევეცადეთ გაგვეაზრებინა მომავალი შესაძლო საფრთხეები და ტენდენციები, რომლის წინაშეც შეიძლება აღმოჩნდეს ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. შევეცადეთ განგვესაზღვრა თუ რა როლს თამაშობს საქართველო თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში. ნაშრომში შევეცადეთ გვეჩვენებინა იმ გეგმის აუცილებლობა, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და უსაფრთხოებას. სამხრეთ სარტყლის

რეგიონში განვითარებულ მოვლენებს შეუძლია იმოქმედოს რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე და შეასუსტოს მისი გავლენა ახლო აღმოსავლეთში. დისერტაციის ძირითადი მიზანი შემდეგში მდგომარეობს: 1) წარმოაჩინოს საქართველოს გეოპოლიტიკური მნიშვნელობა; 2) აჩვენოს საქართველოს განსაკუთრებული როლი დასავლეთისთვის კასპიის ზღვის ენერგორესურსების მიწოდების საქმეში; 3) ახსნას ის მიზეზები, რომლის გამოც რუსეთი ცდილობს შეუქმნას საქართველოს დაბრკოლებები ამ გეოპოლიტიკური მისიის შესრულებისას და 4) გააანალიზოს აშშ-ის საგარეო პოლიტიკის პრინციპები და მიზნები და ამ გადასახედიდან განსაჯოს პრეზიდენტ კლინტონისა და პრეზიდენტ ბუშის საგარეო პოლიტიკა ზოგადად და კერძოდ საქართველოსთან მიმართებაში. ნაშრომის ძირითადი კითხვებია:

1. რა ინტერესები აქვს ამერიკას საქართველოში?
2. რა როლს თამაშობს საქართველო ამერიკის საგარეო პოლიტიკაში?
3. რა ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები აქვს ამერიკას საქართველოზე გამავალი კასპიის ზღვის ენერგორესურსების გაკონტროლებაში?
4. რა წინააღმდეგობები ექმნება ამერიკის შეერთებულ შტატებს იმისათვის, რომ მიაღწიოს თავის მიზნებს ამ რეგიონში?
5. რატომ უჭერს ამერიკა მხარს საქართველოს ნატოში გაწევრიანებას?
6. რა სარგებლობა მოაქვს ამერიკა-საქართველოს ურთიერთობას სამხრეთ სარტყლის ქვეყნებისთვის?
7. როგორ შეეცდება აშშ ძალთა დაბალანსებას მსოფლიოში, თუ მისი გავლენა გაიზრდება კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში?
8. როგორ იცვლებოდა ამერიკის საგარეო პოლიტიკა კლინტონისა და ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობის დროს?
9. მოსალოდნელია თუ არა რაიმე ცვლილება ამერიკის საგარეო პოლიტიკაში?

ამ საკითხების შედეგად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ჰიპოტეზა: **ამერიკის შეერთებული შტატები თავისი ინტერესების განსახორციელებლად სამხრეთ სარტყლის რეგიონში საქართველოს ერთ-ერთ მთავარ მოკავშირედ მიიჩნევენ.**

სიახლე. ამერიკისა და საქართველოს ურთიერთობა, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, რომელიც მოიცავს პერიოდს - გასული საუკუნის 90-იანი წლების

დასაწყისიდან XXI საუკუნის თითქმის მთელი პირველი ათწლეულის ჩათვლით, პირველად არის საფუძვლიანად შესწავლილი და გაანალიზებული. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა მიჩნეულია ძირითად ფაქტორად აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში საქართველოს მიმართ. ნაშრომში შეფასებულია საქართველოს გეოსტრატეგიული მდებარეობა, რომელიც არსებითი მნიშვნელობისაა აშშ-ის ინტერესების განსახორციელებლად სამხრეთ სარტყლის რეგიონში. ნაშრომში დაწვრილებით არის შესწავლილი პრეზიდენტ კლინტონის საგარეო პოლიტიკის ევოლუცია. განხილულია პრეზიდენტ ბუშის საგარეო პოლიტიკის ცვლილების მიზეზები 11 სექტემბრის შემდეგ. აგრეთვე განხილულია ამერიკა-საქართველოს ურთიერთობების ახალ ფაზაში გადასვლა ვარდების რევოლუციის შემდეგ.

ნაშრომის მნიშვნელობა. თანამედროვე მსოფლიოში ძლიერი ქვეყნების ინტერესი სამხრეთ სარტყლის ქვეყნების მიმართ იზრდება. სწორედ ამიტომ აუცილებელია ამ საკითხის მეცნიერული შესწავლა. კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამერიკის საგარეო პოლიტიკაში. ეს კი გამოწვეულია რეგიონის სტრატეგიული მდებარეობით და აგრეთვე მისი მდიდარი ენერგორესურსებით. მაგრამ შეერთებული შტატები საქართველოს ანიჭებს ერთ-ერთ მთავარ როლს სამხრეთ სარტყლის რეგიონში არა მარტო მისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გამო, არამედ იმიტომ, რომ საქართველო დემოკრატიული განვითარების გზაზე დგას. თავის მხრივ, ამერიკასთან ურთიერთობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიზნების განხორციელებისთვის: 1) გახდეს ევრო-ატლანტიკური სტრუქტურების წევრი და 2) აიღოს თავის თავზე ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ხიდის როლი.

სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება. სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილია და გაანალიზებულია მსოფლიო პოლიტიკის ახალი რეალობები და გამოწვევები. დასაბუთებულია, რომ სამხრეთ სარტყლის ქვეყნებს და, მათ შორის, საქართველოს დიდი მნიშვნელობა ენიჭება თავიანთი სტრატეგიული მდებარეობის გამო. წინამდებარე დისერტაცია პრაგმატულად აფასებს საგარეო პოლიტიკას, რომელიც ხელსაყრელი იქნება როგორც „მოქმედი“ ქვეყნის (ამ შემთხვევაში აშშ-ის), ასევე „სამოქმედო“ ქვეყნისთვის (ამ შემთხვევაში საქართველოსთვის).

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები. დისერტაცია ემყარება აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ დოკუმენტებს, ისევე, როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საარქივო მასალებს. გარდა ამისა, გაანალიზებულია ცნობილი მკვლევარების, პრაქტიკოსი პოლიტიკოსებისა და ანალიტიკოსების ნაშრომები. ზოგადად, საერთაშორისო ურთიერთობების საკვანძო საკითხების ანალიზის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზ. ბრუკინსკის, პ. კენედის, ბ. სკოუპროფტის, ჯ. მერშიმერის, ს. ვოლტის, კ. ვოლცის მონოგრაფიები. აშშ-ის თანამედროვე საგარეო პოლიტიკის პრობლემები და გამოწვევები განხილულია ტ. სმიტის, ს. ტელბორტის, უ. ჰაილენდის, თ. ლინჩისა და რ. სინგჰის, რ. ლიბერისა და ა. მოენის ნაშრომებში. უშუალოდ საქართველო-ამერიკის ურთიერთობები და საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრობლემები შეფასებულია ს. ლივანის, ლ. მიტჩელის, ს. კორნელის, რ. ასმუსის, გ. ნოდის, დ. დარჩიაშვილის, თ. გორდაძის, ა. ილარიონოვის, პ. ფელგენგაუერის, ვ. ლუკასის და სხვა ავტორების ნაშრომებში.

კვლევის მეთოდები. დისერტაცია ემყარება კვლევის შერეულ (როგორც ხარისხობრივ, ისე რაოდენობრივ) მეთოდებს: გარდა ლიტერატურის ანალიზისა, გამოყენებულია, კვლევის სტატისტიკური, სოციოლოგიური (ანკეტური გამოკითხვის), შედარებითი ანალიზის, ისტორიული ანალიზის პროგნოზირების მეთოდები.

დისერტაციის **პირველ თავში**, ამერიკის საგარეო პოლიტიკის ზოგადი მიმოხილვა, გაანალიზებულია აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები: იზოლიაციონიზმი, მორალიზმი და პრაგმატიზმი. დისერტაციაში ყურადღება გამახვილებულია აშშ-ის საგარეო პოლიტიკის განხორციელების მექანიზმზე. კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტის როლი, საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოებთან ერთად, გადამწყვეტია ამერიკის საგარეო პოლიტიკაში. მაგრამ მას მხარში უდგას სხვა სტრუქტურებიც. ნაშრომში განხილულია თითოეული ამ ორგანოს როლი საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. წარმოჩენილია სახელმწიფო მდივნებისა და პრეზიდენტის მრჩეველთა როლი ახალი საგარეო დოქტრინების შემუშავების საკითხში. აღნიშნულია, რომ ამერიკის საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში არანაკლებ როლს თამაშობენ პოლიტიკური პარტიებიც. განხილულია აგრეთვე ანალიტიკური ცენტრების გავლენა საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე.

აღნიშნულია, რომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს მედია და საზოგადოება. დისერტაციის პირველი თავის მესამე პარაგრაფში, გადაწყვეტილების მიღების პროცესი, განხილულია საგარეო პოლიტიკის შემუშავებისა და დანერგვის ძირითადი ეტაპები: 1. დღის წესრიგის შემუშავება 2. პოლიტიკის ჩამოყალიბება და 3. პოლიტიკის გატარება. ეს რთული პროცესი მოიცავს ამერიკის მთავრობის მრავალ სააგენტოსა და სტრუქტურას. საგარეო პოლიტიკა ხორციელდება პირამიდის პრინციპით, რომლის თავშიც მოქცეულია პრეზიდენტი. ის განაგებს საგარეო პოლიტიკას, ბიუროკრატია კი პასუხობს და ემსახურება პრეზიდენტის მოთხოვნებს. ამის საილუსტრაციოდ მოყვანილია მაგალითები ერაყის ომის, 9/11-ის, პრეზიდენტების - კენედის, კარტერისა და კლინტონის მმართველობიდან. პირველი თავის ბოლოს, ზოგადი ცვლილებები ამერიკის საგარეო პოლიტიკაში ცივი ომის დამთავრების შემდეგ, განხილულია ახალი რეალობის გამოწვევები ამერიკის საგარეო პოლიტიკაში. მიმოხილულია ამერიკის საგარეო პოლიტიკის ცვლილება ჯიმი კარტერის მმართველობის დროიდან და, ასევე, რა განსხვავებული მიდგომები ჰქონდათ ცივი ომის მიმართ პრეზიდენტ რეიგანსა და უფროს ბუშს. ნახევნებია, თუ როგორ ვითარდებოდა მიდგომები საგარეო პოლიტიკისადმი, განსაკუთრებით კი, საბჭოთა კავშირის დაშლის დროს. აღნიშნული თავის ბოლოს ჩამოთვლილია ცივი ომის შედეგები და პრეზიდენტ ბუშის ავტორობით მიღებული ახალი მსოფლიო წესრიგი: აღმოსავლეთ ევროპის გათავისუფლება საბჭოთა კავშირის უღლისგან, ვარშავის ხელშეკრულების გაუქმება, ბერლინის კედლის დაშლა და ორი გერმანიის გაერთიანება, საბჭოთა ჯარების გამოყვანა ავღანეთიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პრეზიდენტ ბუშმა თითოეული ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა სცნო, მაგრამ მას მათი არსებობა დსთ-ს შემადგენლობაში წარმოედგინა, რაზეც საქართველომ, ბალტიისპირეთის ქვეყნების მსგავსად, უარი განაცხადა.

დისერტაციის მეორე თავში, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მნიშვნელობა ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, აღნიშნულია, რომ ეს რეგიონი გეოპოლიტიკურად მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონია. კავკასია და ცენტრალური აზია წარმოადგენენ აღმოსავლეთ-დასავლეთ დერეფანს, ანუ

ალტერნატიულ გზას ნავთობსადენისთვის. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამიერკავკასიაში ახალი დიდი გეოპოლიტიკური თამაში დაიწყო. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობამ რუსეთს ამ რეგიონში დომინანტის როლი ჩამოართვა. მეორე თავის მეორე პარაგრაფში, ენერგეტიკული ფაქტორი, განხილულია თუ რა გავლენა აქვს კასპიის ნავთობის საკითხს მსოფლიო პოლიტიკაზე. აღნიშნულია, რომ კასპიის რეგიონი ამერიკა-რუსეთის ურთიერთობებში ერთ-ერთ სადავო საკითხად იქცა. ნახევრები, თუ როგორ ცდილობს რუსეთი აღადგინოს თავისი პოზიციები ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, რათა ხელში ჩაიგდოს ნავთობრესურსები და გამოიყენოს ისინი პოლიტიკური მიზნებისთვის. მესამე პარაგრაფში, საქართველოს სტრატეგიული და გეოპოლიტიკური მნიშვნელობა შეერთებული შტატებისთვის, განხილულია საქართველოს მდებარეობის მნიშვნელობა ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, რადგან თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო საქართველო იქცა მნიშვნელოვან მოთამაშედ მსოფლიო პოლიტიკაში. საქართველოს დაკარგვით რუსეთი კარგავს კონტროლს კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებზე. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი ხელახლა ჩაიგდებს ხელში საქართველოს, მას გაუადვილდება თავისი ევრაზიული იმპერიის აღდგენა. საქართველო წარმოადგენს დასავლეთის კარიბჭეს ანუ ბუნებრივ დამაკავშირებელ ხიდს ევროპასა და რესურსებით მდიდარ ცენტრალურ აზიასთან. აბრეშუმის, ანუ უძველესი სავაჭრო და სატრანსპორტო გზის აღდგენა მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება ევრაზიის კონტინენტისთვის და მსოფლიო სტაბილურობისთვის.

ნაშრომის **მესამე თავში**, კლინტონის საგარეო პოლიტიკა, განხილულია პრეზიდენტ კლინტონის საგარეო პოლიტიკის ევოლუცია. თავდაპირველად, ვინაიდან ბირთვული ომის საშიშროება აღარ არსებობდა, საგარეო საქმეები კლინტონისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო და მან მთელი ყურადღება საშინაო საქმეებს დაუთმო. კლინტონი ახლებურად ხედავდა ამერიკის როლს „დინამიურ მსოფლიოში“. ის აქცენტს ინტერნაციონალიზმზე, გაეროსა და კოლექტიურ უსაფრთხოებაზე აკეთებდა. მისთვის უფრო მნიშვნელოვანი მორალური კონსენსუსი იყო, ვიდრე ძალთა დაბალანსება და ემხრობოდა „ჰუმანიტარული ინტერვენციისა“ და დემოკრატიის გაფართოების იდეას. რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობას, ის ფიქრობდა, რომ უმჯობესი იქნებოდა რუსეთის დახმარება, რათა ის ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანა

გამხდარიყო. მისი აზრით, ასეთი რუსეთი ნაკლები საფრთხის მომტანი იქნებოდა მსოფლიოსთვის, რისთვისაც მას საკმაოდ აკრიტიკებდნენ, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ ევროპაში. პრეზიდენტობის პირველი ვადის ბოლოს, კლინტონმა რამდენადმე შეცვალა თავისი იდეალისტური პოლიტიკა. ნატოს გაფართოების იდეა და ისტორიული სამართლიანობის აღდგენა აღმოსავლეთ ევროპაში მან თავისი საგარეო პოლიტიკის მიზნად დაისახა და ამ სფეროში წარმატებასაც მიაღწია. რაც შეეხება საქართველოს, კლინტონის პოლიტიკა პასიური იყო, რადგან ხელი არ შეუშლია რუსეთის ჯარისთვის ანუ დაინტერესებული მხარისთვის „მშვიდობისმყოფელების“ სტატუსით ჩარეულიყო საქართველოს საშინაო საქმეებში. მოგვიანებით მან ახალი დოქტრინა შეიმუშავა, რაც შემდეგში მდგომარეობდა: ამერიკის ჩართვა გლობალურ ჰუმანიტარულ კრიზისში, ანუ უდანაშაულო მოქალაქეების დაცვა. მაგრამ ეს დოქტრინა მიღებულ იქნა მას შემდეგ, რაც ათი ათასზე მეტი უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა და სამას ათასზე მეტმა დატოვა აფხაზეთი. კლინტონის პრეზიდენტობის მეორე ვადის საგარეო პოლიტიკის წარმატებად უნდა ჩაითვალოს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობპროექტი. ამით აშშ-მა შეასუსტა რუსეთის ენერგომონოპოლია. შეიქმნა ურთიერთობების ახალი სისტემა, განმტკიცდა მთელი რიგი ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა. ბევრი მკვლევრის აზრით, კლინტონის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი დამსახურება სწორედ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის შექმნაში მდგომარეობს. ამ პროექტით დასვლეთმა მოიპოვა დამოუკიდებელი ალტერნატიული გზა კასპიის ენერგორესურსებზე. ასევე კლინტონის დამსახურებაა 1999 წლის სტამბულის სამიტზე რუსეთის თანხმობა გაეყვანა ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან 2008 წლის დეკემბრამდე, რასაც საქართველოს მთავრობა დამოუკიდებლობის შემდეგ მოითხოვდა. მესამე თავის დასასრულს გამოთქმულია მოსაზრება, რომ კლინტონს ჰქონდა შანსი გაეთავისუფლებინა სამხრეთ სარტყლის ქვეყნები რუსული ჯარებისგან, მაგრამ მან ეს შესაძლებლობა ვერ გამოიყენა. მან ვერ შეძლო უზრუნველყო უსაფრთხოება მსოფლიოს ამ უმნიშვნელოვანეს რეგიონში, რომელიც გეოპოლიტიკურად სტრატეგიული რეგიონია როგორც აშშ-თვის, ასევე ევროკავშირისთვის.

დისერტაციის **მეოთხე თავი**, ცვლილებები ამერიკის საგარეო პოლიტიკაში ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობის დროს, ეძღვნება იმ ცვლილებებს, რომლებმაც მნიშვნელოვნად გაზარდა კავკასიისა და ცენტრალური აზიის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა. თავდაპირველად, პრეზიდენტი ბუში აპირებდა მსოფლიოში ამერიკის მუდმივი მშვიდობისმყოფელის როლის გადახედვას. მაგრამ 11 სექტემბერმა ამერიკის ადმინისტრაცია იძულებული გახადა შეეცვალა საკუთარი შეხედულებები. ახალმა მთავრობამ შეიმუშავა ე.წ. პრეზიდენტ ბუშის დოქტრინა, რომელიც გულისხმობდა აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიას. ეს დოქტრინა შვიდი პუნქტისგან შედგებოდა და გულისხმობდა ბალანსის შექმნას მშვიდობის დასამყარებლად და ტერორიზმისა და რისკის შემცველი ქვეყნებისგან თავდაცვას. ამასთანავე რუსეთმა სულ უფრო აშკარად დაიწყო თავისი გავლენის აღდგენა სამხრეთ სარტყლის ქვეყნებში, რადგანაც მსოფლიოში ამ რეგიონის მიმართ ინტერესი დღითიდღე იზრდებოდა. მაგრამ რუსეთის განსაკუთრებულ ინტერესს საქართველო წარმოადგენს. რუსეთმა ბრალი დასდო საქართველოს პანკისის ხეობაში აღქაიდას ტერორისტული ჯგუფის არსებობაში და განიზრახა ამ მოტივით საქართველოში შემოჭრა „წესრიგის დასამყარებლად“ და „ტერორიზმის დასამარცხებლად“. ამერიკის მთავრობამ გადაწყვიტა ამ ოპერაციის ჩასატარებლად საქართველოსთვის სამხედრო დახმარება გაეწია და მოგვიანებითაც ცდილობდა პრეზიდენტ შევარდნაძის მხარდაჭერას დემოკრატიული რეფორმების განხორციელებაში. დისერტაციის ამ თავში განხილულია ვარდების რევოლუციის შემდეგ ქვეყნის საგარეო კურსის ვექტორის გადახრა დასავლეთისკენ, რომელსაც პრეზიდენტი სააკაშვილი ახორციელებს. რუსეთის პოლიტიკას საქართველომ უპასუხა ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში შესვლის სურვილით. ამ ნაბიჯით საქართველო შეეცადა თავი დაეხსნა რუსეთისგან. 2008 წლის იანვარში საქართველოს მოსახლეობის 77%-მა ნატოში გაწევრიანების სურვილი გამოხატა. მაგრამ სამწუხაროდ, ბუქარესტის სამიტზე 2008 წლის აპრილში, რუსეთის გავლენით, საქართველოს უარი ეთქვა MAP-ზე. ბუშის ადმინისტრაციამ კი საქართველოს მხარდასაჭერად 2009 წლის 9 იანვარს ხელი მოაწერა საქართველოსთან სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიას. მეოთხე თავის მეხუთე პარაგრაფში, კვლევა ამერიკა-საქართველოს ურთიერთობაზე, მოცემულია გამოკითხვის შედეგები ამერიკა-საქართველოს ურთიერთობის შესახებ. გამოკითხვა

ჩატარდა სხვადასხვა განათლების, სოციალური ფენის, განსხვავებული ასაკისა და სქესის საქართველოს 120 მოქალაქეს შორის. გამოკითხვის მიზანს წარმოადგენდა გაგვერკვია, როგორ აფასებენ ჩვეულებრივი ადამიანები ამერიკის საგარეო პოლიტიკას საქართველოს მიმართ. გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, ამერიკას აქვს უფრო მეტად გეოპოლიტიკური ინტერესები საქართველოში, ვიდრე ეკონომიკური ან კულტურული. გამოკითხულთა უმრავლესობა მომხრეა ნატოში გაწევრიანების, მოწინააღმდეგეებს კი მიაჩნიათ, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარეშე ეს შეუძლებელია. რესპონდენტთა ერთი მესამედი არ არის დარწმუნებული იმაში, რომ ამერიკა-საქართველოს ურთიერთობა უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

დასკვნა. ამერიკის შეერთებულ შტატებს გეოპოლიტიკური ინტერესები აქვს საქართველოში, რადგან საქართველო არის მნიშვნელოვანი ქვეყანა კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, რომლითაც დასავლეთი გაზითა და ნავთობით მდიდარ რეგიონს უკავშირდება. ამ გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გამო, რუსეთი ცდილობს შეინარჩუნოს გავლენა საქართველოზე ან ხელში ჩაიგდოს ქვეყნის ზოგიერთი ნაწილი, რათა გაწყვიტოს ამ ტერიტორიაზე გამავალი ევროპისა და ცენტრალური აზიის დამაკავშირებელი გზა.

იმის გამო, რომ სამხრეთ სარტყლის რვა ქვეყნიდან მხოლოდ საქართველოს აქვს ზღვაზე გასასვლელი და ამ ქვეყნების ძირითადი სიმდიდრე კი ენერგორესურსებია, ეს ქვეყნები არჩევანის წინაშე დგანან: ან ცალსახად უნდა იყვნენ დამოკიდებული რუსეთზე, რომელიც ცდილობს შეინარჩუნოს თავისი გავლენა ამ რეგიონში, ან მოძებნონ საკუთარი ენერგორესურსების დანარჩენ მსოფლიოში გატანის ალტერნატიული გზები. ამ ქვეყნებისთვის საქართველო არის ის ქვეყანა, რომლითაც მათი ბუნებრივი სიმდიდრე მსოფლიო ბაზრებისკენ უმოკლესი გზით შეიძლება გავიდეს. მაგრამ თუ საქართველო მოექცევა რუსეთის გავლენის ქვეშ, რუსეთი აიძულებს საქართველოს უარი თქვას კასპიის ზღვის ნავთობსადენზე და მის ბედს მაშინვე გაიზიარებენ სხვა ქვეყნებიც, რადგან აღარ ექნებათ სხვა პერსპექტივა გაყიდონ თავიანთი რესურსები რუსეთის გვერდის ავლით.

ვინაიდან ამ რეგიონის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა ძალიან დიდია, აშშ-თვის

უფრო ხელსაყრელი იქნება გაიმყაროს პოზიციები და არ მისცეს რუსეთს საშუალება გააკონტროლოს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, რასაც რუსეთი თავდაუზოგავად ცდილობს.

უდავოა, რომ ბოლო დროს მომხდარი მოვლენების შედეგად, საქართველო აშშ-თვის იქცა ერთ-ერთ საკვანძო ქვეყნად კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. უფრო მეტიც, ამერიკა-საქართველოს ურთიერთობით ისარგებლებს როგორც კავკასიის, ისე ცენტრალური აზიის რეგიონი. ისინი შეძლებენ რუსეთის გვერდის ავლით დაუკავშირდნენ მსოფლიოს დანარჩენ ნაწილს. რუსეთი თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, ცდილობს ხელი შეუშალოს ამერიკას განახორციელოს თავისი მიზნები სამხრეთ სარტყლის რეგიონში. საქართველოსა და აშშ-ის ურთიერთობა კიდევ უფრო მჭიდრო თუ გახდება, ამ რეგიონის ქვეყნები გაამყარებენ თავიანთ სუვერენიტეტს და აღარ იქნებიან დამოკიდებულნი მხოლოდ რუსეთზე გამავალ გზაზე. ამერიკის შეერთებული შტატები ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც ძალუძს დადგეს რუსეთის პირისპირ და დაუპირისპირდეს კიდევ მას, იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი შეეცდება განახორციელოს თავისი მიზანი მეზობელ ქვეყნებთან დაკავშირებით, კერძოდ კი - მოაქციოს ისინი თავისი გავლენის სფეროში.

საქართველოს მიმართ განხორციელებული ამერიკის საგარეო პოლიტიკის მრავალმხრივი ანალიზი საშუალებას იძლევა დავინახოთ, თუ რა ტენდენციები იქნება საერთაშორისო ასპარეზზე და რა ორიენტაციას აირჩევს საქართველო საგარეო პოლიტიკაში. ჩემი ნაშრომის მიზანს შეადგენდა შემესწავლა საქართველოს მიმართ აშშ-ის კონკრეტული საგარეო პოლიტიკის საკითხები, რაც საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ მისი სამომავლო ტენდენციები. ვინაიდან მთავრობის წევრებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა განავითარონ და დანერგონ წინა მთავრობების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ამერიკის თანამედროვე მმართველები, სავარაუდოდ, ყოფილი ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის ერთგულნი დარჩებიან, რომელიც 9/11-ისა და რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ჩამოყალიბდა. სწორედ ამიტომ, ადრინდელი პოლიტიკა გაგრძელდება და ამერიკა-საქართველოს ორმხრივი ხელშეკრულებით (ქარტია თანამშრომლობის შესახებ) განხორციელდება.

პრეზიდენტმა ბუშმა თავის მოხსენებაში სახელმწიფოს მდგომარეობის შესახებ (2004) განაცხადა: არის განსხვავება მრავალეროვან კოალიციას მართავ თუ

ემორჩილები მცირერიცხოვანთა სურვილებს. ამერიკა არავის ნებართვას არ დაელოდება, რომ დაიცვას თავის ქვეყნის უსაფრთხოება – ეს იმას ნიშნავს, რომ საგარეო პოლიტიკაში ამერიკას მეგობრების იმედი აქვს, მაგრამ თუ საჭირო გახდა მათ გარეშეც იმოქმედებს. თითქმის იგივე თქვა ბარაკ ობამამაც ჩიკაგოში მსოფლიო საქმეთა საბჭოზე (2007): არც ერთი პრეზიდენტი არ უნდა შეჭოჭმანდეს ძალის გამოყენებაზე და თუ საჭირო იქნება ერთპიროვნული გადაწყვეტილებაც მიიღოს, რათა დაგვიცვას ჩვენ და ჩვენი სასიცოცხლო ინტერესები, როცა თავს გვესხმიან ან გვემუქრებიან. ეს ნიშნავს, რომ ამერიკის ამჟამინდელი პრეზიდენტი ბარაკ ობამა აპირებს გააგრძელოს იგივე საგარეო პოლიტიკა, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი ბუში სწორედ ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღებისთვის იყო გაკრიტიკებული.

კომუნისტური იმპერიის დაშლის შემდეგ აშშ და ევროკავშირი მთელი რიგი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. კავკასია აღარ არის რუსეთის სამხრეთ-დასავლეთ პერიფერია, თუმცა, რუსეთს არ სურს ამის აღიარება. საქართველო, თურქეთთან ერთად, დასავლეთის მთავარი სტრატეგიული პარტნიორი გახდა. ეს რეგიონი ევრაზიის კონტინენტზე ამერიკის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გზაჯვარედინზე აღმოჩნდა, მათ შორისაა ნატო, მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კასპიის ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების საკითხი. დასავლეთ ევროპელები არ არიან კატეგორიულები იმ მოსალოდნელი პრობლემების მიმართ, რომლებიც მათ საზღვრებთან ძალიან ახლოს ვითარდება. სწორედ ამიტომ, მათ ახალი მიდგომები უნდა შეიმუშაონ სამხრეთ სარტყლის ქვეყნების მიმართ.

სამხრეთ სარტყლის ქვეყნები აღარ წარმოადგენენ რუსეთის დანამატებს და ისინი აღარ უნდა იყვნენ მიჩნეული რუსეთის გავლენის სფეროებად, თუნდაც რუსეთი სხვაგვარად ფიქრობდეს. თავისი უფლებით მეზობელ ქვეყნებთან (თურქეთი, ირანი, პაკისტანი და ჩინეთი) დაამყაროს საკუთარი მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური კავშირი, ეს რეგიონი პოლიტიკურად ახალ გეოპოლიტიკურ ერთობად ჩამოყალიბდა. ამასთანავე, ეროვნული უსაფრთხოებისთვის, პოლიტიკური სტაბილურობისა და ეკონომიკური კეთილდღეობისთვის სამხრეთ სარტყლის ქვეყნებს აშშ სჭირდებათ როგორც მნიშვნელოვანი მოთამაშე რეგიონში. თავის მხრივ, კავკასიის პატარა

ქვეყნები ამერიკას მიიჩნევენ იმ ძალად, რომელიც დააბალანსებს ნებისმიერ დიდ ქვეყანას და რეგიონის ყველა ქვეყნის თანასწორობის გარანტი იქნება. ეს კი მინიმუმამდე დაიყვანს პატარა ქვეყნების შიშს საკუთარ უსაფრთხოებაზე. ახლო აღმოსავლეთის სხვა, უფრო დიდ ქვეყნებს, როგორებიცაა საუდის არაბეთი, ინდოეთი, პაკისტანი, ერთმანეთთან არც თუ ისე კარგი ურთიერთობა აქვთ და ურჩევნიათ, თუ აშშ რეგიონში დარჩება. რესპოდენტთა უმეტესობა, ზედმიწევნით მართებულად აფასებს როგორც დიდი, ასევე პატარა ქვეყნებისთვის ძალთა ბალანსის შენარჩუნების აუცილებლობას მთელ ახლო აღმოსავლეთში.

დასავლეთის ქვეყნებს რეგიონის ენერგორესურსების სრული და ღია ხელმისაწვდომობა ესაჭიროებათ, რისთვისაც დასავლელმა პოლიტიკოსებმა რეგიონის ქვეყნების დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი უნდა უზრუნველყონ იმ ტერიტორიაზე, რომლის ხელში ჩაგდებას რუსეთი ასე ცდილობს. უნდა განვითარდეს რამდენიმე სატრანზიტო გზა, რაც დაეხმარება ევროკავშირის ქვეყნებს აღარ იყვნენ დამოკიდებულნი მხოლოდ ერთ ქვეყანაზე, ენერგომომარაგების თვალსაზრისით. გარდა ამისა, ეს ქვეყნები კიდევ უფრო ბუნებრივად დაუახლოვდებიან ერთმანეთს.

დასავლეთი რეფორმების პროცესს რუსეთში მხარს უჭერს, რათა რუსეთის ინტეგრაცია დასავლურ ძალებთან დადებითი კუთხით წაახალისოს. მაგრამ საქართველოზე, როგორც სუვერენულ, დამოუკიდებელ ქვეყანაზე თავდასხმამ თვალნათლივ აჩვენა, რომ ამ მცდელობამ შედეგი არ გამოიღო. საქართველოს დამოუკიდებლობის მნიშვნელობის გამო, პრეზიდენტი ბუში მხარს უჭერდა საქართველოს შესვლას ნატოში, მაგრამ ზოგიერთმა ევროპულმა ქვეყანამ სწორად ვერ შეაფასა ახალი გამოწვევები. ევროკავშირის ეს ქვეყნები მოუძაადებლები აღმოჩნდნენ იმისთვის, რომ მართებულად განეჭვრიტათ ის საფრთხეები, რომლებიც გამოღვიძებულმა ყოფილმა კომუნისტურმა იმპერიამ შექმნა. რუსეთის თავდასხმა საქართველოზე მთელი მსოფლიოსთვის საჩვენებელ მაგალითად იქცა.

საქართველოსთვის ნატოსთან თანამშრომლობა უდავოდ იქნება სტაბილურობის შენარჩუნების საშუალება. ცივი ომის დასრულების შემდეგ, დასავლეთ ევროპისა და სამხრეთ სარტყლის ქვეყნების ურთიერთკავშირი ძლიერდება. ერთის მხრივ, მჭიდრო თანამშრომლობით რუსეთთან და, მეორე მხრივ, საქართველოს მიმართ სპეციალური გეგმის განვითარებით, ნატო შესაძლოა მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტი

გახდეს, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკის განვითარებას და უზრუნველყოფს დემოკრატიზაციას. მაგრამ რუსეთის ნეგატიურ ჩარევას, მიმდინარე კონფლიქტებსა და კრიზისებს საკმარისი ყურადღება არ ეთმობა და რეგიონის უსაფრთხოება არ არის უზრუნველყოფილი. უფრო მეტიც, ზოგიერთმა ევროპულმა ქვეყანამ, გაძლიერებული რუსეთის გავლენით, უარი თქვა საქართველოსთვის MAP-ის მინიჭებაზე, რამაც გზა გაუხსნა რუსეთს თავს დასხმოდა ამ პატარა, მაგრამ დემოკრატიის გზაზე მდგომ ქვეყანას და მისი ტერიტორიის ორი რეგიონის ოკუპაცია მოახდინა. ზოგიერთმა ევროპულმა ქვეყანამ, იმის შიშით, რომ რუსეთი გაზს გადაუკეტავდა, დაივიწყა, რომ სამხრეთ სარტყლის რეგიონში ხანგრძლივად სტაბილურობის შენარჩუნება სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო არა მხოლოდ ერთი ქვეყნის სახელმწიფოებრივი მშენებლობისთვის, არამედ რეგიონული და, უფრო მეტიც, საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის.

აშკარაა, რომ სამხრეთ სარტყლის რეგიონი მხოლოდ მისი ნაყოფიერი მიწის გამო არ არის მიმზიდველი რუსეთისთვის. კავკასიისა და ცენტრალური აზიის კვლავ ხელში ჩაგდების შემდეგ, რუსეთისთვის გაადვილდება სამხრეთისკენ – ინდოეთის ოკეანისკენ სვლა. მაგრამ, როგორც საზღვაო კანონები იძლევა ნაოსნობის აბსოლუტურ თავისუფლებას ზღვებზე, ასევე უზარმაზარი ევრაზიის კონტინენტის ცენტრალური და სამხრეთ ნაწილი არ უნდა აღმოჩნდეს რომელიმე ადგილობრივი სახელმწიფოს ან სახელმწიფოების კონტროლს ქვეშ, რომელთა ინტერესს სხვა ქვეყნების ტერიტორიების ხელში ჩაგდება წარმოადგენს. ამის ნაცვლად, ამ ქვეყნებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა მოილაპარაკონ მათთვის ხელსაყრელი პირობების თაობაზე და აღადგინონ დამაკავშირებელი გზები ჩინეთიდან და იაპონიიდან დასავლეთ ევროპის ქვეყნებისკენ. ამ რეგიონამდე მისასვლელი თავისუფალი უნდა იყოს ყველა, როგორც დიდი, ასევე პატარა ქვეყნისთვის.

მაგრამ საქართველო, როგორც სამხრეთ სარტყლის ყველაზე დასავლეთით მდებარე ქვეყანა, თუ დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ვერ შეძლებს, მაშინ ამ რეგიონის სხვა ქვეყნები, დომინოს პრინციპით, ჩრდილოეთ იმპერიის ხელში გადავა. ამიტომ საერთაშორისო საზოგადოება ამ რეგიონის კონფლიქტების მოგვარებაში კიდევ უფრო უნდა გააქტიურდეს, ვინაიდან მსოფლიო სულ უფრო და უფრო ურთიერთდამოკიდებული ხდება; როდესაც ერთ რომელიმე ქვეყანაში არეულობაა,

მისი გამოძახილი არა მხოლოდ ამ რეგიონში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც იგრძნობა. საქართველოს მთავარი მნიშვნელობა მისი განსაკუთრებული მდებარეობაა. ვინაიდან ის ევრაზიის კონტინენტის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილის გზაჯვარედინზე მდებარეობს, საქართველოს დამოუკიდებლობა თვით დასავლეთ ევროპის ინტერესებში უნდა შედიოდეს. რაც შეეხება აშშ-ს, აქ საქმე სხვაგვარად არის, ეს არის შორს მდებარე სახელმწიფო, რომელიც, რუსეთის მსგავსად, არ აპირებს სხვა ქვეყნების ტერიტორიების მიტაცებას, და არის ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც რეგიონის სახელმწიფოებს შორის ძალთა დაბალანსება შეუძლია. ამერიკის შეერთებული შტატები უნდა განვიხილოთ როგორც მთელი რეგიონისთვის სასარგებლო ძალა. თუმცა, ჯერჯერობით, მისი მხრიდან მსოფლიოს ამ დინამიურ ნაწილს სათანადო ყურადღება არ ეთმობა. ამის მიზეზი კი საკმაოდ ავლანეთი, ერაყი, ირანი, სირია, ისრაელ-პალესტინის დაუმთავრებელი კონფლიქტები და არც მთელი ახლო აღმოსავლეთის ახალი არასასიამოვნო გამოწვევები უნდა დარჩეს უყურადღებოდ.

საქართველოს უსაფრთხოების საკითხები ყოველთვის განიხილებოდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის კონტექსტში. როგორც ყოველთვის, რუსეთი მის სამეზობლოში დომინანტის პოზიციაში ცდილობს გამოსვლას, საქართველო კი თავის ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის გარანტიას დასავლეთთან პირდაპირ თანამშრომლობაში ხედავს. ის საშინელი მდგომარეობა, როდესაც საქართველო დიღემის წინაშე იდგა და გამოსავალიც არსად ჩანდა, ცოტათი შეიცვალა რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ. დასავლეთმა ოდნავი დაგვიანებით აღიარა კავკასიის მნიშვნელობა და საქართველოს საკითხი ევროპის უსაფრთხოების დღის წესრიგის ნაწილად იქცა.

2009 წლის თებერვალში ვიცე-პრეზიდენტმა ბაიდენმა განაცხადა: “არცერთ ადმინისტრაციას არ შეეძლო და არც დაუთმობდა რუსეთს გავლენის სფეროდ ამ რეგიონს”. ბაიდენი აგრეთვე აღნიშნავდა, რომ სუვერენულ დემოკრატიულ ქვეყნებს უფლება აქვთ თავად აირჩიონ პარტნიორები და ალიანსები. აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის მიერ დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღსადგენად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ერთი მილიარდი დოლარი გამოყო. ამით აშშ-მა აჩვენა, რომ მზად არის დაეხმაროს საქართველოს აიცილოს რუსეთის ბატონობის ახალი ერა.

ბუნებრივად ისმის კითხვა: გადატვირთვის ღილაკზე ხელის დაჭერით, შეიძლება კი ახალი ადმინისტრაცია ჩამოაყალიბოს ჭეშმარიტად საერთო ინტერესები, გავლენა მოახდინოს და შეაჩეროს რუსეთის უარყოფითი ქმედებები? ნაჩქარევი, სამაგიეროს მიგების მიზნით ჩადენილი ქმედებები, როგორცაა სამოქმედო გეგმა საქართველოსთვის და სარაკეტო თავდაცვის სისტემის განთავსების დაჩქარება დასავლეთ ევროპაში არ უნდა მოხდეს მანამ, ვიდრე ალიანსი უკეთესად არ მოიფიქრებს თავისი უსაფრთხოების საკითხებს და მათი მიღწევის გზებს.

მაგრამ რა ინტერესები აქვს ალიანსს და რა საუკეთესო გზები არსებობს მათ მისაღწევად? ცხადია, რომ რუსეთის იზოლაცია არავის ინტერესებში არ შედის, რადგან ის დიდხანს ვერ გაგრძელდება. იზოლირებული რუსეთი შეიძლება კიდევ უფრო საშიში გახდეს, განსაკუთრებით მისი უახლოესი მეზობლებისთვის. მაგრამ ისიც ცხადია, რომ არ შეიძლება რუსეთს მიეცეს სრული თავისუფლება ჩაერიოს იმ დამოუკიდებელი ქვეყნების საქმეებში, რომელთაც ის თავის გავლენის სფეროდ თვლის. რუსეთის საქართველოში შეჭრით გამოწვეული ცივი ომის დროინდელი კონფრონტაციის არასასიამოვნო მოგონებები არ არის მარტოდენ საქმარისი პრობლემების გადასაჭრელად. აუცილებელია ობამას ადმინისტრაციამ გადააფასოს რუსეთთან ურთიერთობა, მაგრამ არა პატარა ქვეყნების ინტერესების ხარჯზე.

ამერიკის საგარეო პოლიტიკის მთავარი პრინციპია მხარი დაუჭიროს დემოკრატიულ მთავრობებს და მათ ევროატლანტიკურ კავშირებში გაწევრიანებას. ამერიკა არასოდეს უღალატებს საკუთარ ინტერესებს და ამერიკის მთავრობაში პოლიტიკური ღიდერების ცვლილება არ გამოიწვევს ქვეყნის პრიორიტეტის შეცვლას მსოფლიო ასპარეზზე.

ბუშის პრეზიდენტობის დროს აშშ, საქართველოს მთავარი სტრატეგიული მოკავშირე და პარტნიორი, ევროატლანტიკურ ალიანსში საქართველოს გაწევრიანების მთავარი მხარდამჭერი იყო. ვარდების რევოლუციის შემდეგ, როდესაც საქართველოს ახალმა მთავრობამ, საქართველოს მოსახლეობის სურვილის გათვალისწინებით, მკვეთრად დასავლური ორიენტაცია აიღო, ამერიკა და საქართველო უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ამერიკის შეერთებული შტატები დაეხმარა საქართველოს არმიის მოდერნიზებასა და ეკონომიკური რეფორმების განხორციელებაში.

რაციონალური პოლიტიკური ამბიციების თეორიის მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ (ისევე როგორც კლინტონის პრეზიდენტობის დროს), საქართველოს საკითხი უფრო აქტუალური გახდება ობამას პრეზიდენტობის პირველი ვადის დასასრულს. სწორედ ამ დროს შეეცდება იგი კონცენტრირება მოახდინოს საკითხთა უფრო ფართო სპექტრზე, რათა არჩევნების წინა პერიოდში შთაბეჭდილება მოახდინოს ამომრჩეველზე. მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამერიკის პრეზიდენტი ასე არ მოიქცევა, აშშ მაინც ყოველთვის საზღვრების ურღვევობისა და ეროვნული სუვერენიტეტის მომხრე დარჩება, რაც საბჭოური სტილით ინტერვენციის წინააღმდეგ არის მიმართული. ბრძოლა საქართველოს მომავლისა და მსოფლიოში საკუთარი ადგილის მოპოვებისთვის ჯერ არ დასრულებულა. ცხადია, რომ ამერიკის პრეზიდენტი არ გადაუხვევს არც თავისი საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან და არც აშშ-ის საგარეო პოლიტიკის პრინციპებიდან. მიიჩნევს რა საქართველოს საკუთარი ქვეყნის მოკავშირედ მსოფლიოს ამ უმნიშვნელოვანეს რეგიონში, ამერიკის შეერთებული შტატები მომავალშიც მხარს დაუჭერს საქართველოს სწრაფვას ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში გასაწევრიანებლად.

დისერტაციის ძირითადი შედეგები გამოქვეყნდა (ან გამოქვეყნდება) შემდეგ პუბლიკაციებში:

1. **D. Khutsishvili (2010). Turning a New Page in Georgia's History, *Scientific Journal of International Black Sea University*, (in printing)**
2. **D. Khutsishvili (2010). American-Georgian Relations during 2001-2003, *INTELECTI periodical scientific journal*, (in printing)**
3. **D. Khutsishvili (2010). Georgia's Geopolitical Role after the Rose revolution, *INTELECTI periodical scientific journal*, (in printing)**
4. **D. Khutsishvili (2009). The Bush Doctrine and its Relationship with Reagan's Foreign Policy, *American Studies Periodical*, 2nd Edition**